ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 56

ქ. ქუთაისი 22 მარტი 2017 წელი

ხელშეკრულების დადების საფუძველია ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერი № SPA170003744

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთი მხრივ, **ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანება“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნანა ლორთქიფანიძის სახით და მეორე მხრივ, **შპს „ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც.ეპიდ. ზედამხედველობის სამსახური“**, წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ხაჭაპურიძეს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება N **SPA170003744**) შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1 ხელშეკრულების საგანია: ააიპ ქალაქ ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანების ფილიალებში წყლის რეზერუარების რეცხვა - დეზინფექციის, სადეზინსექციო და სადერატიზაციო მომსახურების შესყიდვა, ხელშეკრულების დანართი #1 ის შესაბამისად.

2.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მომსახურების მიწოდება განახორციელოს ჯეროვნად, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.4 CPV კოდი: **90921000, 90923000**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 7496.6 (შვიდი ათას ოთხასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და სამოცი თეთრი) ლარს.

3.2 მომსახურების ფასი და ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯებს რაც დაკავშირებულია მომსახურების გაწევასთან, მათ შორის საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

4.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით და სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. მიწოდების პირობები და ვადა

5.1 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ააიპ ქუთაისის საბავშვო ბაგა- ბაღების გაერთიანების 37 ფილიალში (ფილიალის მისამართები მოცემულია დანართი #2-ში) დერატიზაციის, დეზინსექციის, ქვერწარმავლების დამაფრთხობელი ღონისძიებების, წყლის რეზერვუარების რეცხვა - დეზინფექციის მომსახურება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად დანართი #1-ში მითითებული რაოდენობების მიხედვით.

5.2 დერატიზაცია და დეზინსექცია უნდა განხორციელდეს საჭიროებისამებრ საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობებსა და გარე ტერიტორიის (ეზო) მთელი პერიმეტრზე, მათ შორის სარდაფებში, შესასვლელ დერეფნებში, კიბის უჯრედებში და ა.შ., ასევე ქვეწარმავლების დამაფრთხობელი ღონისძიებები განხორციელება საჭიროებისამებრ ზაფხულის ცხელ თვეებში. ქვეწარმავლების დამაფრთხობელი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს დაწესებულებების მიმდებარე ტერიტორიაზე მაღალეფექტური ქიმიური რეპელენტის გამოყენებით. დერატიზაციისას უნდა განხორციელდეს მღრნელების (შავი და რუხი ვირთაგვა, თაგვი) მაღალი მოთესვიანობის ტერიტორიებზე ბროდიფაკუმისა და ბრომდიალონის შემცველი მზა სატყუარების დალაგება. სატყუარები უნდა დალაგდეს ადამიანისათვის მიუწვდომელ ადგილებში. დეზინსექციის და დერატიზაციის მომსახურების გაწევისას

გამოყენებული პრეპერატები დასაშვები უნდა იყოს საბავშვო დაწესებულებებში და კვების ბლოკში, რეგისტრირებული უნდა იყოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მასალები უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო, ეფექტური მწერებისა და მღრღნელების წინააღმდეგ. გამოყენებულ ხსნარებზე გაცემული უნდა იყოს შესაბამისი ნებართვა და რეგისტრირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
დეზინსექცია უნდა განხორციელდეს შესხურების მეთოდით საქართველოში რეგისტრირებული პრეპარატებით.

5.3 გაწეული მომსახურება უნდა იყოს ეფექტიანი, რაც ნიშნავს მწერების და მღრღნელების აბსოლიტურ განადგურებას. მწერების ან/და მღრღნელების დაფიქსირების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს შესაბამისი სამუშაოების განმეორებითი ჩატარება შემსყიდველის მიერ გაგზავნილი (მ.შ ელ. ფოსტით ან/და ზეპირად) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 3 (სამ) დღეში.

5.4 საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე განთავსებული სასმელი წყლის ავზების რეცხვა და დეზინფექცია უნდა განხორციელდეს შემდეგი პირობების დაცვით:
I ეტაპი – ავზის შიგნიდან გაწმენდა ხავსისა და მინერალების ნადებისაგან ან ჟანგისაგან;
II ეტაპი – ავზის შიგნიდან გარეცხვა სპეციალური კვებისთვის უვნებელი სარეცხი საშუალებებით
III ეტაპი – ავზი შიგნიდან მთლიანად დამუშავება შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით არანაკლებ 40 წუთიანი ექსპოზიციით.
IV ეტაპი – ავზის შიგნიდან გამორეცხვა სუფთა წყლით.
სადეზინფექციო სამუშაოების დასრულების შემდეგ ავზში შეგროვილი წყალი უნდა იყოს სასმელად ვარგისი.
წყლის რეზერვუარის დეზინფექციის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული სადეზინფექციო საშუალება. მომსახურება უნდა განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 64/ნ ბრძანებაში მოცემული პარამეტრების შესაბამისად; მომსახურების გაწევის პირობები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ წესებსა და ნორმებს. პრეტენდენტმა მომსახურება უნდა განახორციელოს სპეციალური ავტოტრანსპორტით, ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ხელთათმანები, ნიღაბი, სპეცტანსაცმელი);

5.5 მიმწოდებელი ვალდებულია წყლის რეზერვუარების ყოველი მექანიკური გაწმენდის და დეზინფექტანტით დამუშავების შემდეგ თითოეული ფილიალის მიხედვით, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს სასმელი წყლის გამოცდა აკრედიტებულ ლაბორატორიაში, კანონით დადგენილი წესით და შემსყიდველს წარმოუდგინოს შესაბამისი ლაბორატორიიდან გაცემული დასკვნა.

5.6 მომსახურების გაწევა უნდა განახორციელოს კვალიფიციურმა კადრებმა, რომლებმაც უშუალოდ უნდა შეასრულონ მომსახურების გაწევასთან და ხსნარის ან/და წამლის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა ეტაპი. მომსახურების გაწევის პროცესში გამოყენებული ხსნარები უნდა იყოს მაღალი ხარისხის. სადეზინსექციო საშუალებები უნდა იყოს მდგრადი და მათი ეფექტი უნდა მოქმედებდეს არანაკლებ 1 (ერთი) თვე

5.7 მიწოდების ვადაა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 მომსახურება ჩაითვლება მიღებულად, მხოლოდ მხარეთა მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირების მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2 ააიპ „ქალაქ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს დირექტორი ნანა ლორთქიფანიძე.

7. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)
7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. ლარებში
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
7.3. დაფინანსების წყარო: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 არავითარი ცვლილებები ან გადახრა ხელშეკრულებაში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 _ ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.2 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანდ და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს სხვა სუბიექტს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი ვალდებულებები.

8.3 ხელშეკრულების შესრულების პროცესში რაიმე ხელის შემშლელი გარემოებების წარმოშობისას მხარეებმა ურთიერთობა უნდა მოაგვარონ წერილობითი შეტყობინების გზით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები: – ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი გადაიხდის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 50%-ის ოდენობით.

9.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ის ოდენობით.

9.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება;

9.4 ამ ხელშეკრულების 9.3 და 9.7.1 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, მხარეს რომელმაც არ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 50%-ის ოდენობით მეორე მხარის სასარგებლოდ.

9.5 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

9.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

9.7 ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო:

9.7.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

9.7.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს დაუყონებლივ.

9.7.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ მისი ვალდებულებების შეუსრუებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.

10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული და/ან

მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებათა მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში იმ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების დადგომის და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 მოცემული ხელშეკრულება ძალაშია გაფორმებიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

12.სხვა პირობები

12.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან.

12.2 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.

12.3 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების 1 (ერთი) ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან", 1 (ერთი) ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან".

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

"შემსყიდველი"
ააიპ „ქუთაისის ბაგა ბაღების გაერთიანება"
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. #3
ს/კოდი: 412675396
ა/ნ: ხაზინის ერთიანი ანგარიში

დირექტორი

ნანა ლორთქიფანიძე

„მიმწოდებელი"
შპს „ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც.ეპიდ. ზედამხედველობის სამსახური"
საიდენტიფიკაციო კოდი: 212695458
მის: ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. 2
ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ბანკის კოდი: UGEBGE22
ა/ა: GE10VT0500000002263602

დირექტორი

რუსუდან ხაჭაპურიძე

ფასების ცხრილი

№	მომსახურების დასახელება	გასაწევი მომსახურების ფართი და მოცულობა	გასაწევი მომსახურების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
1	დერატიზაცია	14 500კვ.მ	3	0.014	609
2	დეზინსექცია	3 000კვ.მ	3	0.05	450
3	ქვერწარმავლების დამაფრთხობელი ღონისძიებები	6 000კვ.მ	1	0.09	540
4	წყლის რეზერვუარების რეცხვა - დეზინფექცია	155200 ლიტრი	2	0.019	5897.6
	ჯ ა მ ი				7496.6

შპს „ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც.ეპიდ. ზედამხედველობის სამსახური"-ს დირექტორი:

რუსუდან ხაჭაპურიძე

ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანების ფილიალები

ფილიალის N	ფილიალის მისამართი	ფილიალის N	ფილიალის მისამართი
1	ახლაგაზრდობის #104ა	19	თაბუკაშვილის №207
2	გაპონოვის მე–1 შეს №5	20	ნიკეას №56
3	წერეთლის №142	21	თაბუკაშვილის №185
4	დავითაშვილის შესახვევი 2 #1	22	მიქელაძე –მეველეს მე–3 შეს. №15–ა
5	ზ. ჭავჭავაძის №2–ა	23	ასათიანის №119ა
6	ავალიანის №18	24	კიკვიძის მე–3 შეს.№4
7	ხარებავას №7ა	25	ხორავას №8
8	სულხან–საბას №63–ა	26	კოღუაშვილის №5
9	გუგუნავას №15-5ა	27	ნიკეას მე–2 შეს.№14
10	ირ. აბაშიძის №17–გ	28	თაბუკაშვილის №26
11	ნიუარაძის №21	29	ჩეჩელაშვილის №24
12	მაისურაძის №7	30	ლესელიძის №89
13	ბუხაიძის მე–2 მიკრ. №8	31	ნიკეას №1-9ა
14	ტყაბლაძის №3	32	ჩანჩიბაძის №12
15	ბუხაიძის №7ა	33	ჩკალოვის №3
16	ევდოშვილის №83	34	ლერმონტოვის №2
17	ბუხაიძის მე–2 მიკრ №14	35	ახალგაზრდობის მე–5 შეს. №3
18	ნიკეას №34–ა	36	სულხან-საბას №25ა
		37	ტოლსტოის №3

შპს „ქუთაისის დეზინფექციისა და სპეც.ეპიდ. ზედამხედველობის სამსახური“-ს დირექტორი:

რუსუდან ხაჭაპურიძე